ხელშეკრულება №02/019
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2013 წლის 7 თებერვალი ქ. თბილისი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **დავით აფრასიძის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ შპს „ორიენტ ლოჯიკი" (მისამართი: აღმაშენებლის №91ა) მისი კომერციული დირექტორის **ალან სანაკოევის** სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სერვერული კომპიუტერი: HP DL360 G7 Intel Xeon Processor E5620 (2.40GHz/4-core/12MB) 12GB(3x4GB) RDIMM/2X300GB SAS HP SFF/P410i/512w FBWC/DVDRW/1x460W - 1 ერთეული.

1.2. მიწოდების საგანია შემდეგი საქონელი, (შემდგომში "საქონლად" წოდებული): (CPV48820000).

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **5 714,93** (ხუთი ათას შვიდას თოთხმეტი ლარი და 93 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯებს.

4. საქონლის მიწოდების წესი და ადგილი

4.1. შესყიდული საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს "მიმწოდებელი" მხარე საკუთარი ხარჯებით;

4.2. საქონლის მიწოდება ხდება ერთიანად, ხელშეკრულების გაფორმებიდან (2013 წლის 07 თებერვალი) 5 კალენდარულ დღეში.

4.3. საქონლის მიწოდების ადგილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.(ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ №3/5)

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

5.2. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი.

5.3. თუკი ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს ნივთი თავისი ხარჯით.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.5. მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი დასახელების, რაოდენობის და ხარისხის შესაბამისობა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით შეთანხმებულ საქონელთან.

5.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული №10/19 პროექტიდან და უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მირებული შემოსავლებიდან, კერძოდ: წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების ერთი ნაწილის – **3 700,00** (სამი ათას შვიდასი) ლარის ანაზღაურება განხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული №10/19 პროექტიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილის – **2 014,93** (ორი ათას თოთხმეტი ლარი და 93 თეთრი) ლარის ანაზღაურება უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მირებული შემოსავლებიდან.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შესახებ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღეში.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან განესაზღვროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს **გიორგი ქობულაშვილს.**

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან განესაზღვროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს **გიორგი ქობულაშვილს.**

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნა-ტიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. გარანტია

13.1. ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდიში საქონლის მწყობრიდან გამოსვლისას შემსყიდველი წერილობითი ფორმით (მ.შ ელექტრონულ მისამართზე: support@orient-logic.com) აცნობებს ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროების შესახებ "მიმწოდებელს". წერილის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა "მიმწოდებელი ახდენს რეაგირებას." მომსახურების საგნის სერვისულ ცენტრში მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში "მიმწოდებელი" ადგენს დეფექტურ აქტს, რომელიც შეიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. ხარვეზის აღმოფხვრა ხორციელდება საშუალოდ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები "მიმწოდებელს" აქვს ადგილზე (საწყობში). წინააღმდეგ შემთხვევაში 25(ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: ა(ა)იპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ. თბილისი ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5 საიდენტიფიკაციო კოდი – 204861970 სს ,,ბაზისბანკი" ბანკის კოდი: CBASGE22 (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული №10/19 პროექტიდან ასანაზღაურებელი თანხა – 3700 ლარი) ანგარიშის ნომერი: GE57 BS00 0000 0000 3345 63 (ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან ასანაზღაურებელი თანხა – 2014.93 ლარი) ანგარიშის ნომერი: GE76 BS00 0000 0000 1347 89	მიმწოდებელი: შპს „ორიენტ ლოჯიკი" მისამართი: აღმაშენებლის №91ა საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054 სს ბაზის ბანკი ბანკის კოდი: CBASGE22 ანგარიშის ნომერი :GE96 BS00 0000 0005 9368 72
დავით აფრასიძე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ალან სანაკოევი კომერციული დირექტორი